

დავრჩით სივში

პირველი გვერდიდან

ყველა თოფადის გამოსვლას ელოდა და მანაც არ დააყოვნა.

“მინდა დაგანყნარო და გითხრათ, რომ ხელისუფლება ხეც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს. მე ამის დიდი იმედი მაქვს. არავის უნდა, აქაურობა ხეცურეთივით დაცალკოს. ცოტა ხანში აქ კარგი და ტკბილი ცხოვრება იქნება. ამიტომ არ გვინდა ზამთარში სხვაგან წასვლა. დავრჩეთ ხევში. ასეთ სილამაზეს სადღა წახავთ,” - მოუწოდა ხალხს გოგი თოფაძემ, რომელმაც უფრო კონკრეტული სათქმელი სახელმწიფო მინისტრს დაუტოვა.

ავთანდილ ჯორბენაძე: “მრავალი პრობლემის მიუხედავად, დღევანდელი დღე მაინც საზეიმო მგონია. გაიხსნა მშვენიერი საავადმყოფო და სასტუმრო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში აღმშენებლობითი პროცესი მიმდინარეობს. პრეზიდენტსაც და მთლიანად ხელისუფლებასაც მიაჩნია, რომ ხევზე განსაკუთრებით უნდა იზრუნოს. დღეს უკვე შემოიღია გიფხრათ, რომ გაზის პრობლემა ამ ზამთარში მოგვსნებათ. ამისათვის საჭირო 3,5 მილიონ ლარს მთლიანად სახელმწიფო გადაიხდის და თქვენ აღარ დაგჭირდებათ გზების გადაკეტვა.

დენის პრობლემასაც გადავჭრით. მართალია, ჯერჯერობით, ოსეთზე ვიქნებით მიმებული, მაგრამ სამომავლოდ მიკროპეკებს ავაშენებთ და საკუთარი ელექტროენერგია გვექნება.

უყურადღებოდ არც განათლება დარჩება. მასწავლებლებს დავალი-

მთვრალი საზოგადოების წარმომადგენლები “სამასვალში”, ისხდნენ.

ანებასაც მთლიანად დავუფარავთ და ხელფასებსაც მოვუშავებთ. გზასაც გავაკეთებთ. სარემონტო სამუშაოები უკვე დაიწყო. ჩვენი მიზანია ხევზე დიდმა ტვირთმა გაიაროს. ეს დასაქმებისა და შემოსავლების წყარო იქნება.

იმედი გქონდეთ. ჩვენ ერთად უნდა გადავლახოთ ეს გაჭირვება და ბედნიერი ხვალისდღეები დღე მოვუტანოთ ჩვენს ლამაზ ქვეყანას”.

■ ■ ■

მოსკოვი. ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფო უფლებამოსილია გადანაწილოს, რომელ ორგანიზაციაში შევიდეს, - განაცხადა მოსკოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ნატო-ში შესვლის შესახებ საქართველოს გეგმების კომენტირებისას. მისი თქმით, “ეს ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებაა, ამ საკითხზე საუბარი დებატების მიმდინარეობის დროს გამართლებული არ არის”. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტოლოგი გია ნოღია არ ეთანხმება პრეზიდენტის წინადადებას სენატის თავმჯდომარედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით. მისი აზრით, სენატორებმა თვითონ უნდა აირჩიონ თავმჯდომარე და აუცილებელია არაა, რომ ეს პოსტი აფხაზეთის ავტონომიის მეთაურმა დაიკავოს. სენატის თავმჯდომარედ აფხაზეთის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე კატეგორიულობა შესაძლოა სხვა რეგიონის უკმაყოფილების საბაზი გახდეს, რომლის ადმინისტრაციული მოწყობის დონე ავტონომიებს არაფრით ჩამორჩება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

სიღნაღი. სოფელ საქოლოზნოს მოსახლეობამ თბილისისაკენ მომავალი ცენტრალური ტრასა გადაკეტა. ადგილობრივი გლეხები ითხოვენ გამოყოფილი მიწის ნაკვეთების პირად საკუთრებაში გადაცემის პროცესის ხელახლა განხორციელებას.

გლეხები ითხოვენ თანამდებობიდან სოფლის გამგებლის გადაყენებას. მათი თქმით, მიწის ნაკვეთები ფართობით 800 ჰექტარი, რომლებიც გლეხები-სათვის იყო განკუთვნილი, ურიგდებათ თანამდებობის პირების ახლობლებს. საქოლოზნოს მოსახლეობამ აქცია მას შემდეგ შეწყვიტა, რაც მათ პირობა მისცეს, რომ შეახვედრებდნენ რაიონის ადმინისტრაციას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე აცხადებს, რომ კოდორის ხეობის ზემო ნაწილში პანკისიდან გამოდევნილ დაახლოებით 50 ჩეჩენი ბოევიკის ყოფნის შესახებ, სოხუმის ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. მხოლოდ ორი დღის წინ დასრულდა რუს სამშვიდობოთა და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა კოდორის ზემო ხეობის ერთობლივი პატრულირება, რომელთაც განაცხადეს, რომ ჩეჩენ ბოევიკთა არანაირი კვალი არ დაუფიქსირებიათ. მინისტრის ინფორმაციით, კოდორის ხეობის მორიგი პატრულირება მომავალ კვირას შედგება. სოხუმის ხელისუფლების ზემოხსენებული მონაცემები “შეკარა დეზინფორმაციაა”, - თქვა მალხაზ კაკაბაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მხარდაჭერით, ფერმერულმა ასოციაცია “ელკანამ” ვაჟა ფშაველას პროსპექტზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მათ შორის ვაშლის, ლიმონის, ყველისა და თევლის გამოფენა-გაყიდვა, გამართა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტების წარმოება განვითარდეს, რომელსაც საერთაშორისო ბაზარზე გაიტანენ. აღნიშნულ სექტორში გაერო საქართველოსათვის დახმარების განევას შეეცდება. “ელკანა”, რომლის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის განვითარება, ქართველ ფერმერთა მხარდაჭერით, 1993 წელს შეიქმნა. ასეთი სახის ღონისძიებები რეგულარულად გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. მოსკოვი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, პანკისის ხეობაში მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა აუცილებელი ზომა მიიღოს, - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ. მისი თქმით, რუსეთის ხელისუფლება იღებს პანკისის ხეობის ოსური სოფლების მოსახლეობის უამრავ წერილს, რომლებიც მოქალაქეები “ღრმა შემოთვებას გამოთქვამენ ოსების მიმართ ჩეჩენი ბოევიკების ძალისმიერი ქმედებების, მათი სამოქალაქო და ქონებრივი უფლებების დარღვევისა და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მათი უსაფრთხოების დაცვის რაიმე გარანტიის არარსებობის გამო”. “ქართული მხარის მტკიცების მიუხედავად იმის თაობაზე, რომ პანკისის ხეობაში განხორციელებული ანტიკრიმინალური ღონისძიებების შემდეგ არც ერთი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება არ დარჩა, ამ წერილების მიხედვით, მოსახლეობის სიცოცხლისა და მისი უფლებების ხელყოფის საფრთხე კვლავაც რჩება,” - განაცხადა იაკოვენკომ. **ინტერ-პრესი.**

მოხუცი პელაგია შიოლაშვილი კი სავაჭრო ჯიხურთან იდგა და გვიყვებოდა...

სახელმწიფო კავშირი

მ-07

www.online.ge

ზიზლიოთეკა – სივილიზაციაზის ზეხვედრის ადგილი

ზეიმი, რომელზეც დღეს მოგიხიბრობთ, 1700 წლის წინ შეწყდა და დღეს განახლდა. ეს გაზღავთ ზეიმი, თითქოს, საყოველთაო და გლობალური, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ერთეულზეზე გათვლილი. ანუ ზეიმი მხოლოდ მათთვის, ვისთვისაც ბიბლიოთეკის კარის შეღებით, წიგნის სუნის შეგრძნებით, ყველაზე სასიამოვნო მოგზაურობა იწყება... დღეს, ოც ოქტომბერს, თითქმის ორ ათასწლიანი ინტერვალის შემდეგ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის კარი სწორედ ასეთი ადამიანებისთვის იხსნება. შესვლა ორი დოლარი ელირება. აღდგენილი ბიბლიოთეკა ყველას უმასპინძლებს – ცოდნის მაძიებელ სტუდენტს, მკვლევარსა თუ ცნობისმოყვარე ტურისტს. შენობის ფანტასტიკური დიზაინი, 21-ე საუკუნის არქიტექტურა, უნიკალური ექსპონატები და, რალა თქმა უნდა, ძვირფასი წიგნთსაცავი თითოეულ მათგანს მაშინვე მიახვედრებს, რომ მათ წინაშე იხსნება ბიბლიოთეკათა ბიბლიოთეკის კარი, რომ ეს არის დაწესებულება, რომელსაც კაცობრიობა თავის ინტელექტსა და ცოდნას უნდა უმაღლოდეს.

	თამარ ბაზუაძე	
		
განახლებული ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში 8 მილიონი წიგნის განთავსებაა შესაძლებელი, მაგრამ, ჯერჯერობით, იქ მხოლოდ ნახევარი მილიონი ეგზემპლარი ინახება. ორი ათასი წლის წინ იგივე ბიბლიოთეკაში სულ რაღაც 700 ათასი ხელნაწერი (დაახლოებით, 100-125 ათასი ნაბეჭდი წიგნი) იყო დაცული, მაგრამ ის მაინც მსოფლიოს უპირველეს უნივერსიტეტად ითვლებოდა.		
სანამ ახალი ათასწლეულისთვის აღდგენილი ბიბლიოთეკა თავის ძველ გავლენას დაიბრუნებდეს და საზოგადოება მის მნიშვნელობას სრულად გაიაზრებდეს, ჯერ ამ ძველი ბიბლიოთეკის კარი შევლოთ.		
ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ანტიკური და შუასაუკუნეების ყველაზე სახელგანთქმული ინსტიტუტი და უნივერსალური ცოდნის ტაძარი იყო. მისი კარის გეგმებით იწყებოდა მოგზაურობა ევროპის ლაბირინთებში. ვიოაჟი ცოდნის მიღებას პირდებოდა ყველას, ვინც ბიბლიოთეკაში მოხვედებოდა. ეს გახლდათ ადგილი, სადაც თანამედროვე გეომეტრიისა და გეოგრაფიის საფუძვლების პირველი პოსტულატები შეიქმნა, სადაც გამოიანგარმოეს დედამიწის პერიმეტრი, სადაც პირველად თარგმნეს ძველი აღთქმა ებრაულიდან ბერძნულ ენაზე და სადაც ფიზიკოსებმა პირველად დაამტკიცეს, რომ ტვინი და არა გული იყო პასუხისმგებელი ადამიანის გონებასა და ემოციებზე.		
იღვის ავტორად მეფის ათენელ მრჩევლს, დემეტრიოს ფალერეუსს ასახელებენ. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ სწორედ მას უნდა შეეძინა ზებინა პტოლემეოზის ღინასტის მეფე სოტაროსისთვის დიდი მეცნიერული ცენტრის შექმნა, რომელსაც საკუთარი ბიბლიოთეკაც ექნებოდა. უცნობია ცენტრის დარსების ზუსტი თარიღი, მაგრამ ფიქრობენ, რომ იდგის განხორციელება სოტეროსმა ჩვ.წ.ალ-მდე 290 წელს დაიწყო, ხოლო შექნებლობა დაასრულა პტოლემეოს მეორე ფილადელფუსმა. სწორედ ამ დროიდან იქცა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ხელოვნე-		

	მარიონეტაზის თეატრის საგასტროლო ტარნა	
რეზო გაბრიადის თეატრ-სტუდიის ერთი ჯგუფი უცხოეთში გასტროლებზე გაემგზავრა. თეატრის ხანგრძლივი საგასტროლო ტურნე სამ ქვეყანას - ინგლისს, ბელგიასა და საფრანგეთს მოიცავს და 20 აპრილამდე გასტანს. რეჟისორი რეზო გაბრიაძე და მისი დასი ინგლისელ მაყურებელს "სტალინგრადის ბრძოლას" შესთავაზებს, ბელგიასა და საფრანგეთში კი თეატრი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომას" წარმოადგენს. მსახიობთა მეორე ჯგუფი თბილისში დარჩა. დედაქალაქში მარიონეტების თეატრის სპექტაკლები კვლავინდებურად გაიმართება. <i>"24 საათი"</i>		

	გიუნდარ ბრასის სახლი	
ნობელის პრემიის ლაურეატი, მწერალი გიუნტერ გრასი ქალაქ ლიუბეკში გახსენდება "გიუნტერ გრასის სახლით" ძალიან კმაყოფილა. "მე და ჩემი შემოქმედება აქ ჩინებულად ვგრძნობთ თავს," განაცხადა მან სახლის ოფიციალურ გახსნაზე.		
ლიუბეკის ძველ ნაწილში მდგარ, ორ მილიონ ევროდ შეფასებულ სახლში 75 წლის მწერლის შემოქმედებაა წარმოდგენილი: ხელნაწერები, ნახატები და ქანდაკებები. ამ სახლში სისტემატურად გაიმართება ხოლმე ათასგვარი კულტურული ღონისძიება და საერაულოდ, მას წელნანდში 30 ათასი დამთვალიერებელი ეყოლება.		
ლიუბეკეელებს, ისევე, როგორც თავად გიუნტერ გრასს, აზრადაც არ ჰქონიათ მაგზოლუუმის აშენება. უბრალოდ, ქალაქს უხარია, რომ ბუდენბროკების სახლსა და ჰაინრიხს და თომას მანების ცენტრთან ერთად, მას ახალი ღირსშესანიშნაობა შეემატა. <i>"24 საათი"</i>		

	კალენდარი	
		
	20 ოქტომბერი	

<p>არტურ რემზომ წერა ჯერ პოუგოს, ბოდლერისა და სხვა მწერლების გავლენით დაიწყო, მის ლექსებში თანდათანობით გაიჟღერა იმ ტენდენციებმა, რაც ახალ პოეზიას დაედო საფუძვლად. მძიმე ბავშვობა და</p>	<p>სიყმაწვილე ჰქონდა, ჯერ სახლიდან გაიქცა, მერე იყო 1871 წლის კრიზისი, ევრლენთან ერთად ლონდონში გატარებული წლები, ნარკოტიკები და იმედგაცრუება, "ჟამი ჯოჯოხეთისა", პარიზის კომუნის გამარჯვება, "პარიზის საბრძოლო ჰიმნი", ამ წლებმა რემზოს პოეტური ფილისოფია ჩამოაყალიბა... 20 წელი ჯერ არ შესრულებოდა, წერა რომ მიატოვა და მთელ ევროპაში დაიწყო ხეტიალი, მერე აფრიკაში ჩავიდა, ეთიოპიაში სავაჭრო ფირმის აგენტად მსახურობდა; ყველაფერზე ხელი არ ჩაქნია, ყველაფრის მიმართ სრული გულგრილობა დაეუფლა, არც დიდება და უნდოდა, არც დაღირება. 1891 წლის ივნისში სნეული დაბრუნდა დიდი ხნის წინ მიტოვებულ სამშობლოში, სადაც მას მარჯვენა ფეხის ამპუტაცია გაუყეთეს. რემზოს თავისი და – იზაბელი უფლიდა, მაგრამ პოეტს ბევრი აღარ უტოცხლია, ამავე წელს, ნოემბერში გარდაიცვალა 37 წლისა.</p>
	არტურ რემზო 1854 წლის 20 ოქტომბერს დაიბადა შარლეილში.



ალექსანდრიის ბიბლიოთეკა

დოვალი სოფია, იორდანის დედოფალი რანია, ავსტრალიის გუბერნატორი, ლიბიის პრემიერ-მინისტრი, ასევე ცნობილი მეცნიერები, ნობელის პრემიის ლაურეატები, მკვლევარები – სულ სამასამდე ცნობილი პირი. ინაუგურაციის პროცესი სატელეტური არხებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადაიცა. ეგვიპტელები კი სამთავრობო თუ სახალხო ზემოქმედ თითქმის სამ დღეს აწყობდნენ.

		
მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ძველი დროის სიმბოლოს წარმოადგენს, მისი ახალი შენობა თანამედროვეობის განსახიერებაა. ამით იღვის ავტორები იმაზე მიაწინშებენ, რომ განახლებული ბიბლიოთეკა, ძველთან ერთად, იმ ახალი უნივერსალური ცოდნის სიმბოლეც უნდა გახდეს, რომელსაც კაცობრიობა მომავალში შეიძენს. ანუ, ბიბლიოთეკამ საკუთარ თავში უნდა გააერთიანოს წარსულისა და მომავლის ინტელექტი და ამით კიდევ უფრო გააძლიეროს ადამიანის გონება.		

ამ ისტორიული ფუნქციის მქონე ბიბლიოთეკის მშენებლობა 200 მილიონი დოლარი დაჯდა. კამპანია 1990 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა მუჰამედ ჰოსნი უზარაქმა წამოიწყო. საქმეში იუნესკო და მთელი საერთაშორისო საზოგადოება ჩაერთო და მალე მშენებ-

	„სარდაფი„ ნახატით მოიფინა	
გელა ჭინჭარაძის პატარა ნატვრა		
ნანა ბასილაშვილი		
<p><i>გუშინ კლუბ "სარდაფი" თვითნასწავლი მხატვრის, გელა ჯინჭარაძის ნახატების გამოფენა-გაყიდავა გაიხსნა. "სარდაფი" გელა ჯინჭარაძეს უკვე მეორედ მასპინძლობს. გამოფენა სამშაბათამდე გასტანს.</i></p>		
პირველი, რაც კლუბში შესვლისთანავე გავიგონე, ერთი ქალბატონის წუხილი იყო (როგორც შემდგომ შევიტყვე, ეს სიტყვები მხატვრის დედას ეკუთვნოდა): "ყველა ნახატი ვერ დავატოეთ". გამოფენაზე წარმოდგენილი სურათების უმრავლესობა 2002 წელს იყო შესრულებული.		
ფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, იცნობთ თუ არ გელა ჯინჭარაძესა და მის შემოქმედებას. გამოფენის ნახვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა მის იდემალებით მოცულ სამყაროში მოხვედრილიყავით (უამრავი სხვადასხვა ჟანრის ნახატი სწორედ ამის საშუალებას იძლევა). "მე, უბრალოდ, ადამიანებთან შეხედრბა მომენტარა, გამოფენის გახსნა სექტემბერში გადავწყვიტე ერთი უსიამოვნო ისტორიის შემდეგ... თუმცა, ამ		
პირველი, რაც კლუბში შესვლისთანავე გავიგონე, ერთი ქალბატონის წუხილი იყო (როგორც შემდგომ შევიტყვე, ეს სიტყვები მხატვრის დედას ეკუთვნოდა): "ყველა ნახატი ვერ დავატოეთ". გამოფენაზე წარმოდგენილი სურათების უმრავლესობა 2002 წელს იყო შესრულებული.		
ფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, იცნობთ თუ არ გელა ჯინჭარაძესა და მის შემოქმედებას. გამოფენის ნახვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა მის იდემალებით მოცულ სამყაროში მოხვედრილიყავით (უამრავი სხვადასხვა ჟანრის ნახატი სწორედ ამის საშუალებას იძლევა). "მე, უბრალოდ, ადამიანებთან შეხედრბა მომენტარა, გამოფენის გახსნა სექტემბერში გადავწყვიტე ერთი უსიამოვნო ისტორიის შემდეგ... თუმცა, ამ		

	პიკასო და ქალები	
იხსნა და 19 ანერამდე გასტანს. "ქალები ერთადერთი სიუჟეტია, რომელიც მთელ მის შემოქმედებას გასდევს," თქვა გამოფენის გახსნაზე მუზეუმის დირექტორმა, ინგრიდ მოისნგერმა. პიკასოს შემოქმედებაში 36 ქალია უკვდავყოფილი: ცოლები, საყვარლები, ბავშვები, შემთხვევითი ნაცნობები... თავისი ცხოვრების განმავლობაში დიდ მხატვარს მრავალ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა, და მათთვის ყოველთვის მრავალმხრივი და საინტერესო მამაკაცი იყო - თავის ესპანელობით - ცოტა მაჩო, ასევე დროს, ნაზი საყვარელი და ინტელექტუალური მეგობარი. ხოლო როცა კავშირი ბერძნებოდა, როცა "სიუჟეტიდან" იმპულსებს ვეღარ იღებდ,		

ლობაც დაიწყო. შენობის დაპროექტება ნორვეგიულმა არქიტექტურულმა ფირმა "სნოჰუბამ" ჩაიბარა. მათ მიერ შექმნილმა დიზაინმა 2000 წელს ბრიტანეთის მთავარი არქიტექტურული პრიზიც მოიპოვა.

რადგანაც არაფერი იყო ცნობილი დამწვარი ბიბლიოთეკის არქიტექტურაზე, ნორვეგიელები საქმეს გაორმაგებული პასუხისმგებლობით შეუდგნენ. მიზანი რთული იყო: მათ უნდა დაებროექტებინათ შენობა, რომელიც საკუთარ თავში გააერთიანებდა ძველ ეგვიპტურ ცოდნასა და თანამედროვე სტილს. თუმცა, შეიძლება თქვას, რომ არქიტექტორებმა დავალებას შესანიშნავად გაართვეს თავი. მათ ათვლის წერტილად ძველეგვიპტური მითოლოგიის მთავარი კომპონენტი - მზე დაისახეს და მის პატესაცემად შენობას მრგვალი თეფშის ფორმა მისცეს. ზღვისკენ გადახრილი, მრგვალი შენობა მზის ამოსვლის სიმბოლეც წარმოადგინეს. თავისი დატვირთვა მიანიჭეს ზღვასაც: ბიბლიოთეკის ზღვისკენ გადახრა, უკიდვანო სივრცესა და პორიზონტზე მეტყველებს სივრცე კი, თავის მხრივ, ცოდნის მიძიბის თავისუფლებას გულისხმობს. ეს ყოველივე შესანიშნავია ესთეტური თვალსაზრისითაც – დისკოს ფორმის დახრილი შენობა მოძრაობის შთაბეჭდილებას ქნის, თითქოს, ეს გიგანტური ნაგებობა მიწიდან ზემოთ ამოდის და ზღვისკენ მისისწრფავს.

ერთი სიტყვით, ახალი ბიბლიოთეკის თითოეული დეტალი სიმბოლეებით არის გაჯერებული. შენობის საერთო ფართობი 85.000 კვადრატული მეტრია. აქედან 20.000 კვ.მ. სამკითხველოს ეთმობა. როგორც პროექტის ავტორები ამტკიცებენ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის სამკითხველო მსოფლოში უდიდესი იქნება. შენობის კედლები გრანიტისაა. მის კედლებზე ნორვეგიელმა მხატვარმა მსოფლიოში არსებული ყველა ანბანი ამოჭრა. თავად ბიბლიოთეკა შვიდი, კასკადურად განლაგებული ტერასისგან შედგება. თითოეული ტერასა ცოდნის სხვადასხვა სფეროს ეთმობა. მაგალითად, პირველ სართულზე რელიგიური, ფილოსოფიური და ისტორიული ლიტერატურაა განლაგებული (მათი საწყის ტერასაზე მოთავსებაც სიმბოლოა იმისა, რომ ეს სფეროები ყოველგვარი ცოდნის საფუძველს წარმოადგენენ). ზედა ტერასებზე კი თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს მოუჩინეს ადგილი. სავანმანათლებლო კომპლექსში შედის მრგვალი ფორმის პლანეტარიუმი, მუზეუმი და საკონფერენციო დარბაზი.


შენობის მთავარი მშენებმა გიგანტური მრგვალი სახურავია (ზუთასი ფუტი დიამეტრისა), რომელიც ლურჯი და მწვანე შუშისგანაა დამზადებული. წარმოდგენით, იმყოფებით მთავარ სამკითხველო დარბაზში (რომ-

ლის შიგნითაც ღია სივრცე, დაახლოებით, ნოუ იორკის მთავარი ტერმინალის ფართობის ტოლია. სამკითხველოში 2 ათასი ადამიანი ეტევება), ცნობით თქვენთვის საინტერესო ლიტერატურას, გადაჰყურებთ ზღვას და თან გივანტური შუშის სახურავიდან შემოჭრილი სინათლით ტკებებით. ეს ყოველივე შემეცნების პროცესს ეს თეტურად მომწოდოსაც ხდის.

		
იღვის ავტორების თქმით, განახლებულ ბიბლიოთეკას ოთხი ძირითადი მიზანი ექნება:		
ის მსოფლიოსთვის უნდა გახდეს ეგვიპტეში გაჭრილი სარკმელი. ანუ, ეგვიპტე მთავარ ტურისტულ ღირშესანიშნაობად და კულტურების ცენტრად უნდა იქცეს.		
ბიბლიოთეკამ უნდა დააკემიროს ეგვიპტე დანარჩენ სამყაროსთან. ამ ქვეყნის მოსახლეობის შემეცნების არეალი თანდათან უნდა გაიზარდოს: პირველ რიგში, ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების კულტურულ მემკვიდრეობას შეკრებენ, შემდეგ არაბულ, აფრიკულ და დანარჩენ კულტურებს.		
ბიბლიოთეკა კულტურებისა და ცივილიზაციების შეხვედრის ადგილად უნდა გადაიქცეს და ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციაში ეგვიპტეც ჩართოს.		
ამ მიზნების მიღწევას ბიბლიოთეკა უნიკალური ლიტერატურით შეეცდება. მართალია, წიგნთსაცავში ჯერ სიხალავთაა, მაგრამ პროექტის მესვეურები ამტკიცებენ, რომ წიგნებისთვის გამოყოფილი 8 მილიონი ადგილი მალე შეივსება. ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში უკვე არსებობს მსოფლიოში უდიდესი მონაცემთა ბაზა, რომელშიც 28 მილიონი ფაილი (მათ შორის 3900 რუკა) შედის. ბაზა ბრიტანელ მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა. მათვე ასწავლეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს მონაცემების გამოყენების წესი.		
ბიბლიოთეკის მუზეუმში გამოფენენ ეგვიპტურ მონუმენტებს სხვადასხვა ცივილიზაციებისა და ეპოქების დასახისათვის. იქვე იქნება უძველესი ხელნაწერები და საყოფაცხოვრებო ნივთებიც...		
ერთი სიტყვით, ბიბლიოთეკის მაღალ დონეზე აღჭურვის პროცესი ჯერა დასმდინარეობს. თუმცა, ამკარაა, რომ მას მნახველი არც საწყის ეტაპზე დააკლდება: სანამ ცოდნის განახლებული ტაძარი თავის უნიკალურ ფუნქციას შესასრულებს და წარსულსა და მომავალს ერთმანეთს შეახვედრებს, მას ცნობისმოყვარე ტურისტები და სტუდენტები მიანყებოდნ. არქიტექტურული ღირსებებიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკას უკვე ეგვიპტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირშესანიშნაობად მიიჩნევენ.		

	„სარდაფი„ ნახატით მოიფინა	
გელა ჭინჭარაძის პატარა ნატვრა		
ნანა ბასილაშვილი		
<p><i>გუშინ კლუბ "სარდაფი" თვითნასწავლი მხატვრის, გელა ჯინჭარაძის ნახატების გამოფენა-გაყიდავა გაიხსნა. "სარდაფი" გელა ჯინჭარაძეს უკვე მეორედ მასპინძლობს. გამოფენა სამშაბათამდე გასტანს.</i></p>		
პირველი, რაც კლუბში შესვლისთანავე გავიგონე, ერთი ქალბატონის წუხილი იყო (როგორც შემდგომ შევიტყვე, ეს სიტყვები მხატვრის დედას ეკუთვნოდა): "ყველა ნახატი ვერ დავატოეთ". გამოფენაზე წარმოდგენილი სურათების უმრავლესობა 2002 წელს იყო შესრულებული.		
ფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, იცნობთ თუ არ გელა ჯინჭარაძესა და მის შემოქმედებას. გამოფენის ნახვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა მის იდემალებით მოცულ სამყაროში მოხვედრილიყავით (უამრავი სხვადასხვა ჟანრის ნახატი სწორედ ამის საშუალებას იძლევა). "მე, უბრალოდ, ადამიანებთან შეხედრბა მომენტარა, გამოფენის გახსნა სექტემბერში გადავწყვიტე ერთი უსიამოვნო ისტორიის შემდეგ... თუმცა, ამ		
პირველი, რაც კლუბში შესვლისთანავე გავიგონე, ერთი ქალბატონის წუხილი იყო (როგორც შემდგომ შევიტყვე, ეს სიტყვები მხატვრის დედას ეკუთვნოდა): "ყველა ნახატი ვერ დავატოეთ". გამოფენაზე წარმოდგენილი სურათების უმრავლესობა 2002 წელს იყო შესრულებული.		
ფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, იცნობთ თუ არ გელა ჯინჭარაძესა და მის შემოქმედებას. გამოფენის ნახვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა მის იდემალებით მოცულ სამყაროში მოხვედრილიყავით (უამრავი სხვადასხვა ჟანრის ნახატი სწორედ ამის საშუალებას იძლევა). "მე, უბრალოდ, ადამიანებთან შეხედრბა მომენტარა, გამოფენის გახსნა სექტემბერში გადავწყვიტე ერთი უსიამოვნო ისტორიის შემდეგ... თუმცა, ამ		

	პიკასო და ქალები	
იხსნა და 19 ანერამდე გასტანს. "ქალები ერთადერთი სიუჟეტია, რომელიც მთელ მის შემოქმედებას გასდევს," თქვა გამოფენის გახსნაზე მუზეუმის დირექტორმა, ინგრიდ მოისნგერმა. პიკასოს შემოქმედებაში 36 ქალია უკვდავყოფილი: ცოლები, საყვარლები, ბავშვები, შემთხვევითი ნაცნობები... თავისი ცხოვრების განმავლობაში დიდ მხატვარს მრავალ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა, და მათთვის ყოველთვის მრავალმხრივი და საინტერესო მამაკაცი იყო - თავის ესპანელობით - ცოტა მაჩო, ასევე დროს, ნაზი საყვარელი და ინტელექტუალური მეგობარი. ხოლო როცა კავშირი ბერძნებოდა, როცა "სიუჟეტიდან" იმპულსებს ვეღარ იღებდ,		



ახალს პოულობდა ხოლმე.

ამ გამოფენისათვის მზადებამ ორ წელიწადს გასტანა. ხეშნიციმი ნამუშევრები მთელი მსოფლიოდან იქნა მიზიდული: ნოუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიდან, ლონდონის Tate Gallery-დან, პარიზის პიკასოს მუზეუმიდან...

გამოფენაზე წარდგენილი ყველაზე ადრეული ნახატი 14 წლის პიკასოს ეკუთვნის: ნახშირითა და ფანქრით შესრულებული Niobide კერძი კომექციონრის საკუთრებაა და ხეშიცში პირველად იქნა საჯაროდ ნაჩვენები. ყველაზე გვიანდლი კი პიკასომ 91 წლის ასაკში შექმნა, გარდაცვალებამდე, დაახლოებით, ერთი წლით ადრე.

